საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლიუციონ პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 9—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 2000 მან.

№ 121

ხუთშაბათი იანვრის 12

1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური გაზეთი
ტრიბუნა
ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.
1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 45.000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 2000 მანეთი.
უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.
ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.
რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა ხანდაზმული მგოსანი

ჰაზირა (აბრამ აბრამოვი)

დასაფლავება კვირას, იანვრის 15-ს ხოჯევანქის სასაფლაოზე. გამოსვენება არკადის შესახვევი № 2 სახლიდან დილის 11 საათზე.

ხელოვნების სასახლე

სერგიევის ქუჩა № 13.
ხუთშაბათს იანვრის 12-ს

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო
მართავს მეორე ლიტერატურულ ხუთშაბათს
საზეიმო საღამო

ალიგიერი დანტე.

სიტყვები:
კოწია გამსახურდია,
ლეო ქიაჩელი,
კოკი აბაშიძე.

მოწვეულნი არიან სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლნი.

შესავალი ბილეთები იყიდება მწერალთა საბჭოს მდივანთან ხელოვნების სასახლეში 12 დან 1 საათამდის.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

განცხადება

ს. ს. ს. რესპუბლიკის საბჭოების მომწვევი ცენტრალური საარჩევნო კომისია მოთავსებულია საქართველოს რევკომის სასახლეში, ოთახი № 22, ტელეფონი № 11—69. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 10-დან 2 საათამდე.

მეტი ყურადღება

ბოლშევიკური პოლიტიკა საქართველოში საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებით დაიწყო. თებერვლის ამბავთა კვალიფიკაცია სახელმწიფოებრივ გადატრიალებად იქნა ცნობილი. ეს დებულებანი დიდმნიშვნელოვანი იყო იმ თავითვე და დიდ მნიშვნელოვანია დღესაც.

მართალია რევკომების სისტემით წარმოებული პოლიტიკა, ისიც აწეწილ მდგომარეობაში, ვერ იძლეოდა ზოგიერთ დარგში დამაკმაყოფილებელ შედეგებს. უცხო ელემენტები ბოლომდე იყენებდნენ მომხდარ ცვლილებას, მაგრამ დღეს ეს უკვე წარსული ამბავია და მომავლისათვის გვმართებს დიდი ენერგიისა და უნარის გამოჩენა სახელმწიფოებრივ მშენებლობაში.

ამ მხრით ყველაზედ ღირს-შესანიშნავი მოვლენა საბჭოთა არჩევნებია. რევკომები, რომელნიც ისტორიული შემთხვევით მოევლინა საქართველოს, ადგილს უთმობს მუშათა და გლეხთა საბჭოებს და თუ წინეთ „ვინმე“ ბრძანებლობდა, დღეიდან საქართველოს მუშათა კლასი უნდა იქნეს თავისი ცხოვრების გამგე და თავისი ბატონ-პატრონი.

ტფილისის არჩევნები დასრულდა. ამ არჩევნების ხასიათზე ჩვენ წინეთაც გვქონდა საუბარი. ეხლა არჩევნები იწყება საქართველოს დაბა-ქალაქებში და სოფლებში. ჩვენი ერის საფუძველი უმთავრესად სოფელია. ჩვენი გლეხის ნება სურვილი იმავე დროს საქართველოს ნება-სურვილია. ამიტომ მეტი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ არჩევნების წესიერად ჩატარებას და საბჭოებში უნდა ავირჩიოთ მხოლოდ ის, ვინც მართლაც გულშემატკივარია ხალხისა და ქვეყნისათვის.

საქართველოს საბჭოებმა უნდა დაუმტკიცოს ყველას, ვისთვისაც ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, რომ საქართველოს მუშათა კლასი საკუთარ ფეხზე დგომით შესძლებს სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაძღოლას და საკუთარი ძალებით უპატრონებს თავის ქვეყანას.

ჩვენთვის საჭირო არ არის ვისმე რეცეპტი თბილ კაბინეტში დაწერილი და ევროპის „დემოკრატიის“ გამომზეურებული, ჩვენ კარგად ვიცით, რომ ის შავი და ბნელი გარიგებები, რომელიც შენშევიკურ ძალას აიძულებს „სოციალისტური ინტერვენციისათვის“, არსებითად დამღუპველია ქართველი ხალხისა. ისიც კარგად გვაქვს გათვალისწინებული, რომ საქართველოს კეთილდღეობისათვის არ ამოძრავებდა არც ინგლისის სამხედრო ფლოტი და არც საფრანგეთის ხმელეთის ძალა. არც ის გვავიწყდება, რომ რომელიმე ძალა ბრძოლით შემოსული საქართველოში ვერ განკურნავს ჩვენი ერის წყლულებს, ვერ დაიცავს მის ინტერესებს. ვისთვისაც საქართველო გზა და ხიდია თავისი მოგზაურობისათვის, ვისთვისაც ქართველი მუშათა კლასი საფუძველია თავისი ბატონობისათვის, იგი ვერ დაიცავს ვერც საქართველოსა და ვერც ქართველი მშრომელის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს.

დღესაც ჩვენი კურთხეული ქვეყნისაკენ ბევრს აქვს მოპყრობილი ყურადღება. აზიისა და ევროპის კლიტე ის ფოკუსია, რომლისთვის ბრძოლა კულმინაციურ შეჯიბრებას იწვევს. თუ ჩინეთის საკითხი „ღირსია“ ვაშინგტონის კონფერენციის ყურადღებისა, თუ ციმბირით ვინმე დაინტერესებული, თუ ფილიანდიის მიწა-წყალიც სამოქმედო ბაზად არის დასახული „ვისმესგან“ მით უფრო ამიერ-კავკასია და კერძოდ საქართველო მეტად მოხდენილი ბაზაა მსოფლიო ძალთა ყურადღებისა.

ჩვენთვის თანამედროვე მომენტი საყურადღებოა არა მარტო საშინაო პოლიტიკის თვალსაზრისით, არამედ იმ ისტორიულ პერსპექტივის მიხედვით, რასაც იძლევა ევროპისა და აზიის ობიექტური და სუბიექტური ვითარება. ჩვენთვის საქართველოს საბჭოები ის უბადრუკი ორგანო კი არ არის, რომელიც ისტორიული შემთხვევით დღეს ძიებს თავის სახეს და ხვალ მას შესცვლიან ინგლისის გენერლები, არამედ იგი ის მკვიდრი და მტკიცე სახელმწიფოებრივი ორგანოა, რომელმაც საფუძველი უნდა ჩაუყაროს სოციალისტური შემოქმედების ელემენტებს და რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს საქართველოს პრობლემის მიზან-შეწონილი, რაციონალი გადაჭრა.

საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები (მემარჯვენე ფედერალისტები და მენშევიკები) არ ღებულობენ არჩევნებში მონაწილეობას, რადგან „ოთხ ფორმულიანი“ სისტემა არ არის.

ჩვენ საქართველოს გულ-მკერდზედ აღმოცენებული პარტია ვართ. ჩვენი მხედველობით მაშინ გამოვიდა საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე, როდესაც საქართველოს ბედი უკუღმა იყო შეტრიალებული. ჩვენი მოღვაწეობა მაშინ დაიწყო, როდესაც ერთი მხით ბურჟუაზიული ლიბერალიზმი (ისიც გაურკვეველია) ეროვნულ ლოზუნგებით გამოდიოდა, ხოლო მეორე მხრივ ეროვნული ნიჰილიზმი შესისხლხორცებული ჰქონდა მარქსისტულ აზროვნებას.

რთული იყო მაშინ საქართველოს მდგომარეობა და ამ სირთულეში წარმოშობა საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტია.

დღეს, მიუხედავად რუსეთის დიდი რევოლიუციისა, ჩვენ არ გვავიწყდება, რომ თუ მე-19 საუკუნის ისტორია პატარა ერთა და მშრომელთა ჩაგვრის ისტორია იყო, მე-20 საუკუნის ისტორიაც ჯერ-ჯერობით არ არის ჩაგრულ ერთა და ჩაგრულ კლასთა განთავისუფლების ისტორია.

საქართველოს პირობები დღეს ისევ რთულია და საჭიროა მაქსიმუმი ენერგიის ხარჯვა, რომ ქართველი მშრომელი ნაკლები მტკივნეულობით გადურჩეს დღევანდელი ისტორიული პროცესის განვითარებას.

ამ რთული პირობების შედეგია საქ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტა სარ. პარტიის არსებობა.

ვითვალისწინებთ ყოველ ძალას, მოქმედს საერთაშორისო მაშტაბში, ვითვალისწინებთ ამ ძალთა ყოველ ინტერეს საქართველოს მიმართ, ანგარიშს ვწევთ ჩვენს სტრატეგიულსა და ეკონომიურ მდგომარეობას ამ ძალთა დაპირისპირებაში, ყოველივე ამას ვზომავთ საქართველოს ინტერესის თვალსაზრისით და ვამბობთ—ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს, რომ ადგილობრივი ძალებით შექნეს საქართველოს მუშათა და გლეხთა საბჭოები, მოხდეს ძალთა უკიდურესი მობილიზაცია, გამტკიცდეს მუშური წყობილება, თავდადებით შევუდგეთ სამეურნეო ფრონტზე ბრძოლას, გავწმინდოთ ჩვენი სახელმწიფო ყოველივე საეჭვო ელემენტიდან, ვისი ქურქითაც არ უნდა იყოს იგი მოვლენილი და დარაჯად დავუდგეთ ერისა და მშრომელის ინტერესებს, ვიბრძოლოთ რევოლიუციისა და საუკეთესო მომავლისათვის და უარვყოთ ყოველივე მილიტარული და ავანტიურისტული ნაბიჯები, როგორც შიგნით ისე გარედ.

ყოველივე ამისათვის უნდა ვიბრძოლოთ ჩვენ, ყოველივე ეს საუკეთესო სამსახური იქნება ხალხისა და ქვეყნისა ყოველივე ამას მტკიცედ და თავდადებულად დაიცავს საქ. მემარცხენე სოც.-ფედ. სარ. პარტიის ფრაქცია საბჭოებში და თუ საჭირო იქნა ყოველგვარ ფრონტზე, რომელიც გამართული იქნება ჩვენი მშრომელი ხალხის წინააღმდეგ, ამიტომ საბჭოს არჩევნებში გამოიჩინეთ მეტი ყურადღება და ხმა მიეცით მემარცხენე სოც.-ფედერალისტებს.

ხერ. ამაღლობელი.

ახალი ამბები

— დღეს, იანვრის 12-ს ხელოვნების სასახლეში გაიმართება მორიგი მეორე ლიტერატურული ხუთშაბათი: საზეიმო საღამო ალიგიერი დანტეს გარდაცვალებიდან ექვსასი წლის შესრულების გამო. სიტყვებს წარმოსთქვამენ: კოკი აბაშიძე, კოწია გამსახურდია, ლეო ქიაჩელი. შესავალი ბილეთები (თითო ხუთი ათასი მან.) იყიდება ხელოვანთა სასახლეში მიხ. როსტომაშვილთან.

— შაბათს, იანვრის 14, საღამოს 7 საათზე, ხელოვნების სასახლეში, შესდგება ახალი მწერლობის კავშირის მორიგი მეხუთე ესთეტიკის საღამო. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. მიხ. აბრამიშვილი.

იუსტიციის კომისარიატში

საქართველოს ტერიტორიაზე, საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის გაშლის პირველ დღეებში, ქართველი ერის წინაშე დაისვა ერთი კარდინალი საკითხი:—დაცული იქნება თუ არა საქართველოს სუვერენობა?

ქართველი ხალხის ინტერესი და ეროვნული ფსიხიკის მოთხოვნილება უნდა ყოფილიყო დაკმაყოფილებული, ახალი მთავრობის რეალური პოლიტიკის შედეგებით.

საჭირო იყო უდავო არგუმენტებით დამტკიცება იმისა, რომ საქართველოს საზღვრებში შემოსული წითელი ლაშქარი არ არის დამპყრობი ძალა, უარმყოფელი საქართველოს იურიდიული ერთეულობისა.

პირიქით—ახალი მთავრობის და წითელი ლაშქრის მოქმედებაში განსაკუთრებული ინტენსივობით და ღირსებით უნდა გამართულიყო მაღალი პოლიტიკური იდეოლოგია კომუნისტური პარტიისა ეროვნულ საკითხში.

ერთა თვითგამორკვევის უფლების იდეა—ეს ლოზუნგი წითელი ხაზით მიიმართება კომუნისტური ფილოსოფიის და პოლიტიკის ისტორიაში და საჭირო იყო ამ იდეის პრაქტიკულ რეალობაში მართებული გატარება.

რა დავინახეთ ჩვენ მარტის თვეებში?

საქართველოს ახალმა მთავრობამ, ჯერ კიდევ მენშევიკების დროს, მოსკოვის კრემლში ცნობილ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ქართული დეკრეტით ერთხელ კიდევ დასცა დასტური.

ამასთანავე ქართული ენა იქნა აღიარებული სახელმწიფო ენად.

აი, ორი საყურადღებო მომენტები ახალი მთავრობის მოქმედების ისტორიიდან, მისი მუშაობის პირველ დღეებში.

ცხოვრების რკინის ლოღიკის გარეშე არ დაიწერება არც ერთი დეკრეტი და საქართველოს მთავრობის აღნიშნულ დეკრეტებში სჩანს და ისმის აშკარა კარნახი ცხოვრების ენერგიისა და ლოღიკის.

მაგრამ შეუძლებელია განვისაზღვროთ მხოლოდ დეკრეტის გამოცემით, უფრო მეტი საჭიროებას წარმოადგენს მისი ღირსეული შესრულება.

რას გვეუბნება სინამდვილე, რა მასალებს გვაძლევს თვით ცხოვრების ყოველდღიური მიმდინარეობა?

ჩვენ ვერ ვხედავთ პრაქტიკულ მუშაობაში დაცვას იმისა, რასაც დეკრეტი გვეუბნება. სანიმუშოდ ავიღოთ სახელმწიფო ენის მდგომარეობა.

არის თუ არა გაშლილი სახელმწიფო ენის ბატონობა შესაფერ ფარგლებში და აუცილებელი პატივით?

რასაკვირველია არა.

მაგალითისათვის მკითხველ საზოგადოებას შევიყვან იუსტიციის კომისარიატში, რა ხდება იქ და შესაძლებელია თუ არა დაცვა სახელმწიფო ენისა იმ პირობებში, როგორც იუსტიციის კომისარიატშია?

მართალია, იუსტიციის კომისარია ამხ. სერგო ქავთარაძე, მაგრამ უბედურება ის არის, რომ უდროობის გამო მას არ აქვს საშუალება იყოს ფაქტიური ხელმძღვანელი აღნიშნული საკომისარიატოსი, რაც ჰქმნის იმ პირობებს, რომ ფაქტიურად ხელმძღვანელობს იუსტიციის სახ. კომისარიატს კომისრის მოადგილე მოქალაქე ბროდსკი, იცის თუ არა მან სახელმწიფო ენა?

არა.

მოქალაქე ბროდსკიმ მხოლოდ ორი თვის წინად ისწავლა ქართულად ხელის მოწერა და დღეს მისი ცოდნა სახელმწიფო ენისა მხოლოდ მისი გვარის უშეცდომო მოწერით განისაზღვრება.

რასაკვირველია, როდესაც ხელმძღვანელმა არ იცის ის ენა, რომელზედაც უნდა სწარმოებდეს მუშაობა, მთელი დაწესებულება უხერხულ პირობებშია ჩაყენებული.

ერთის მხრივ დეკრეტი, მეორეს მხრივ შეუძლებლობა მისი შესრულებისა.

ვინ შედის კოლეგიაში?

მოქალაქე აპრესოვი, რომელმაც სრულებით არ იცის ქართული ენა.

მაშასადამე იუსტიციის კომისარიატის კოლეგიის მუშაობა მიმდინარეობს არა სახელმწიფო ენაზე და კიდევაც მოქალაქე გედევანიშვილი, კოლეგიის მდივანი ოქმებს რუსულ ენაზე სწერს.

ჩვენ გვეხსოვს კოლეგიის წევრებათ მოქალაქე რაფიელ კალაძე და ჩოდრიშვილი და ვიცით, რომ ისინი ოფიციალ ნიადაგზე იდგნენ, იცავდნენ დეკრეტს, მაგრამ რათ მოხდა ამ წევრების გასვლა კოლეგიიდან—არავინ იცის.

მაშასადამე, გამოვდივართ რა ოფიციალური მდგომარეობიდან და ვემყარებით მთავრობის დეკრეტს, ჩვენ ვამბობთ—მოქალაქე ბროდსკი და აპრესოვი, როგორც არ მცოდნენი სახელმწიფო ენისა უნდა იქნენ მოხსნილი თანამდებობიდან და მათ მაგივრად მოწვეული ისეთი ელემენტები, რომლებიც დეკრეტის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებენ, რაც ლოღიკურად მოგვცემს მეტად დადებითი რეზულტატების საქმის წარმოებაში გაადვილებით და ამასთანავე ზნეობრივ დაკმაყოფილებას.

მკითხველმა საზოგადოებამ იცის, რომ მთავრობის დადგენილების თანახმად სახელმწიფო დაწესებულებებში მოხდა შტატების შემცირება.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ და ვეთანხმებით ამ განკარგულებას, როგორც ეკონომიურს, ისე საქმის ინტერესის თვალსაზრისითაც შტატების შემცირება დიდი ხნით ადრე უნდა მომხდარიყო.

ყოველ დაწესებულებაში იყო შემდგარი საშტატო კომისია, რომელიც პერსონალურად აწარმოებდა შემოკლების პროცესს.

მრავალი დირექტივები ჰქონდა საშტატო კომისიას მიცემული სახელმძღვანელოდ და ერთი იმ დირექტივებიდან იყო შტატს გარეშე დატოვება ქართული ენის არ მცოდნე მოსამსახურისა.

როგორც ვხედავთ, თვით ოფიციალური მდგომარეობაც იმას გვეუბნება, რომ შტატების შემოკლების დასაწყისშივე, თანახმად აღნიშნული პირობისა, შტატს გარეშე უნდა დარჩენილიყო მოქალაქე ბროდსკი და აპრესოვაც.

მაგრამ რა მოხდა? როგორ შეასრულა თავისი მოვალეობა იუსტიციის სახალხო კომისარიატის საშტატო კომისიამ, რომელშიაც შედიოდა თვით მოქალაქე ბროდსკი, ბაშინჯაღიანი და ბურკაძე.

ამ სამეულის დასახელების დროს ჩვენ შეგვიძლია დავსვათ ერთი კითხვა—იცნობდნენ თუ არა იუსტკომის საშტატო კომისიის წევრები მოსამსახურეებს, რაც აუცილებელი ელემენტია შტატის შემცირების პროცესში? იყო თუ არა ან ბროდსკი, ან ბურკაძე, ან ბაშინჯაღიანი როდესმე დაახლოვებული კომისარიატის მოსამსახურეებთან, რომ მათი შეფასება და დახასიათება თვითეული მოსამსახურისა პერსონალურად, არ ყოფილიყო შემცდარი და უნიადაგო?

ჩვენ ვამბობთ, რომ არც ერთი წევრი საშტატო კომისიისა არ იცნობდა და არც იცნობს იუსტკომის მოსამსახურეებს.

მაშ რითი, როგორი ცნობებით ხელმძღვანელობდა კომისია? ერთი საბუთით მხოლოდ—საანკეტო ფურცელით, სადაც სამს მართალ სტრიქონში, ათი სიტყვა შესაძლებელია ყალბი იყოს.

ნუ თუ ისეთი რთული საკითხის გადაჭრის დროს, როგორიც არის მოსამსახურეთა ლიკვიდაცია, დასაშვებია ხელმძღვანელობა მხოლოდ საანკეტო ფურცლით და არა ცოცხალი, ჭეშმარიტი ცნობებით თვითეულ თანამშრომელზე ცალკე?!.. რა შედეგები მოგვცა საშტატო კომისიის მუშაობამ? საჭირო იყო სახალხო მოსამართლეების მეტი რაოდენობიდან სამი მოსამართლის შემოკლება. და ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ შტატს გარეშე იქნებოდნენ დატოვებული სახელმწიფო ენის არ მცოდნე მოსამართლეები, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

შტატს გარეშე დატოვეს ძველი, გამოცდილი, ცოდნითა და პრაქტიკით აღჭურვილი მოსამართლეები ჩაჩიბაია, გულოვანი, მაჭავარიანი დატოვეს მოლოსტოვი, დანდუროვი. და ვულფოვიჩი, რომელთაგან არც ერთმა არ იცის სახელმწიფო ენა, რომლებიც ამ მთავარი მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებენ.

ვის ეკუთვნის ინიციატივა ასეთი მახინჯი და უსამართლო შემოკლებისა? რასაკვირველია მოქალაქე ბროდსკის, რომელიც მთავარი ღერძი იყო მთელი საშტატო კომისიის მუშაობისა.

განა ეს სამართლიანია?

სახალხო გამომძიებლების შემოკლების პროცესში ჩადენილი ერთი მთავარი შეცდომა იმდენად ნათელი გახდა საშტატო კომისიისათვის, რომ ის იქნა სასწრაფოდ შესრულებული.

მაგრამ ჩვენ მაინც უნდა აღვნიშნოთ დარჩენილი დეფექტებიც. შტატს გარეშე დატოვეს სახალხო გამომძიებელი ქუთათელაძე, რომელიც საქმეს სახელმწიფო ენაზე აწარმოებდა და გამომძიებელი პრობანი თავის ადგილზე დარჩა. შესაძლებელია პრობანი კარგი გამომძიებელი იყოს, მაგრამ ჩვენ გვინდა მთავარი პირობის დაცვა—სახელმწიფო ენის ცოდნა.

რა გამომდინარეობს ამ მუშაობიდან? რა დასკვნა უნდა გავაკეთოთ საშტატო კომისიის მუშაობას რეზულტატების გათვალისწინების შემდეგ?

ამის გამოცნობა თვით საშტატო კომისიის წევრებისათვის მიმინდვია.

აღსანიშნავია ისიც, რომ სახალხო სასამართლოს აღმასრულებლებში და შიკრიკებში შტატს გარეშე დატოვეს სწორედ ქართული ენის მცოდნე პირები და სამსახურში დასტოვეს ისეთი ელემენტები, რომლებმაც არ იციან სახელმწიფო ენა.

მე ვეკითხები საშტატო კომისიის კომისიის თავმჯდომარეს, მოქალაქე ბროდსკის—რას ნიშნავს ეს?

მკითხველი საზოგადოება ალბათ აშკარად დაინახავს თუ როგორ მუშაობას აწარმოებს იუსტიციის კომისარიატში მოქალაქე ბროდსკი, როგორი ატმოსფერას ჰბადებს ის თანამშრომელთა წრეებში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოქალაქე ბროდსკის მოღვაწეობაში არის აშკარა სიმპატიები [illegible] განზრახვისა და მთავრობამ იუსტიციის კომისარიატი უნდა დააყენოს გარეშე მისი ხელმძღვანელობისა.

ჩვენ ველით ამას.

მ. ლ—ა.

თეატრი და ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„ფაუსტი“

მიმდინარე სეზონში ოპერა მიდის საოპერო თეატრის რეჟისორის წუწუნავას ახალი დადგმით. დადგმა ლამაზია, ზოგჯერ ხელოვნურიც. განსაკუთრებით კარგია სცენა საყდართან მეფისტოფელის ფიგურით, გრძელ მოსასხამით რომ დგას საყდართან და საერთო შთაბეჭდილებას ახდენს საყდრის ბნელ ფონთან.

კარგია პირველი სცენაც ეშმაკის სამეფოში. ჯარების მსვლელობა ოდნავად ტრაფარეტულია, მაგრამ თანამშრომელთა და ხორის მონაწილეთა მცირე რაოდენობის გამო, შეუძლებელია მასიური სცენის უკეთესად განსახიერება.

შემსრულებელთა შორის პირველობა უცილობლად მოქ. ბოკოვას ეკუთვნის (მარგარიტა).

ეს მსახიობი ქალი თანდათან მეტ ყურადღებას იპყრობს, თუ გინდ უბრალო პარტიიდანაც ცოცხალსა და დასრულებულ სახეს ქმნის. ვოკალური შესრულებაც სათანადო სიმაღლეზეა. მუსიკალობა, ჩინებული ფრაზიროვკა, დინამიკა—ყველაფერი მხატვრულია.

მოქ. კავსაძე (ფაუსტი) ვერ სცილდება საოპერო გმირის ტრაფარეტს. სცენიური გადმოცემა შაბლონურია. მოქ. კავსაძეს უნდა ახსოვდეს, რომ მოქმედების დროს კულისებში მდგომ პირებთან კავშირი სრულიად უნდა მოისპოს, რადგან ასეთი ერთობა ილიუზიას სპობს.

შარაშიძის ავადმყოფობის გამო მეფისტოფელის პარტიას საბინინი ასრულებდა და როგორც მოსალოდნელი იყო სინდისიერად ჩაატარა. სცენიური მხარე ვოკალურს სჯობდა, რადგან უკანასკნელს ცოტაოდენი დაღლილობა ეტყობოდა. აღსანიშნავია სცენა ტაძართან, როცა მეფისტოფელი ხედავს მის ფეხთა ქვეშ განრთხმულ მარგარიტას და თავხედურად იწვევს ღმერთს, რომელმაც არ შეისმინა მარგარიტას მუდარა, ლოცვა. კარგია სცენა ყავახანაშიაც ჯვრებით. სიმღერა „ოქროს ვერძის“ შესახებ კარგად შესრულდა. შესაფერი იყო გრიმიც.

ვალპურგიის ღამე მორდკინის დადგმით აკვირვებს ზედმეტი რეალიზმით, მაგრამ ლამაზად და კარგად არის განსახიერებული.

მოხდენილად აძლევდა აკომპანიმენტს მოქ. კომპანეეცი.

ჰ. ბ.

სახელმწიფო დრამა

„თამარ ცბიერი“.

რუსთაველის თეატრში, კვირას 8 ამ თვეს წარმოდგენილი იქნა აკაკის დრამატიული პოემა „თამარ ცბიერი“.

„თამარ ცბიერი“, როგორც პიესა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. არ არის შიგ სცენიური ტეხნიკა და დიალოგებითაც მეტად აჭრელებულია. ამიტომ არის, რომ ავტორსაც მისთვის დრამატიული პოემა უწოდებია, მაგრამ ჩვენმა სცენამ მაინც მოინდომა მისი განსახიერება.

პირველი მოქმედება იწყება ბურთაობით. ბურთაობა ისეთი მომენტია, რომ შესაძლებელია მთელი სიცხოველე და სიმკვირცხლე პიესისა მასში იქნეს გადმოტანილი. ამ მხრით ცდა დამარცხებით დასრულდა. მასიურ სცენას არ ეტყობოდა არავითარი სიმკვირცხლე და გატაცება მობურთალთა. იქ უფრო „ხტუნაობა“ იყო, რომელსაც ზანს აძლევდა შეუფერებელი „უუ... უუს“ ძახილი რომელიც სრულიად ბუნებრივად სიცილს იწვევდა დარბაზში.

შემდეგ აღსანიშნავია ორი მობურთალის საუბარი. პირველი მობურთალი (მჟავია) უფრო დვინით გაჟღენთილ რუსის გლეხს ჰგავდა, ვიდრე ბურთაობით და სირბილით დაქანცულ ქართველს. (ენაც ვერ ემორჩილებოდა) მეორე მობურთალი (ფ. ჩხეიძე) დამაკმაყოფილებელი იყო.

მასხარის როლს მ. ჭიაურელი ასრულებდა. იგი ნიჭიერი მსახიობია და რა დანიშნულებაც პიესა აძლევდა გასაქანს როლი თავისი გზით მიყავდა. ასევე ითქმის კორიშელზედაც.

დედოფალი (კოლხიდელი) ვერც ერთი მხრით ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. მისი მანერები და მიმიკა, აგრეთვე ხმა და ინტონაცია უფრო მოგაგონებდათ პროვინციელ ქართველ ქალს ვიდრე დედოფალს, როლი ზეპირად ჰქონდა გაბეჯითებული და სიჩქარით მიდიოდა, მაგრამ სიტყვების სროლა იყო მხოლოდ და მეტი არაფერი. არ იყო განცდა და ვნებიანობის განსახიერება. გადასვლებიც უფრო შემთხვევითი, უადგილო და უცაბედი იყო, ვიდრე ამას როლი მოითხოვდა. ასე, რომ რეჟისორის მიერ ვერ იყო შერჩევა როლის განმსახიერებელთა. ქ-ნი კოლხიდელი შეიძლება შესაფერ როლში ნიჭიერი მსახიობი გამოდგეს, მაგრამ თამარის როლი კი სრულებით არ ეგუება მის ტემპერამენტს და ბუნებას.

დედოფალს არც „მეფე“ ჩამოუვარდებოდა ამ მხრივ. (ლამბაშიძე). იგივე ითქმის მასზე თითქმის სიტყვა სიტყვით. როდესაც იგი მასხარის დაკვრით გონს მოდის, ეთხოვება ძველ ცხოვრებას, მასში იღვიძებს ქვეყნის ხელმძღვანელი—მეფური ბუნება და ამხელს მის სისუსტეს ქალის წინაშე მორჩილებისას და რამდენიმე ფრაზით და ხელის ჩაქნევით სრულდება ეს უდიდესი სულიერი ბრძოლა. სადაც ტემბრი და ჟესტი უნდა გაგრძნობინებდეს ამ დიდი ბრძოლის დასასრულს, იგი სრულებით ჩვეულებრივი მანერით, ჩვეულებრივი ხმით ლაპარაკობს და ერთი ხელის „ჩაქნევით“ ასრულებს უდიდეს სულიერ დრამას, რაც დიდი მომენტია პიესაში.

გოჩას ასრულებდა აკ. ვასაძე. მას შესწევს ნიჭი და ზოგიერთ როლებში საუკეთესო [illegible] ცდილობდა იგი, მაგრამ სრულიად შეუფერებელი [illegible] წევდა, აკ. ვასაძე კარგია გმირულ როლებში, მაგრამ გოჩა პოეტი-გმირია. აქ საჭიროა პოეტური, ნაზი ფიგურა, ლირიზმითა და პოეტური გატაცებით გამსჭვალული. ვასაძე უფრო მებრძოლი გმირი იყო, ვიდრე პოეტი—გმირი. აქაც რეჟისორის უყურადღებობა სჩანს (რაც არ იყო მოსალოდნელი აკ. ფაღავასაგან).

საერთოდ პიესა მეტად სუსტად ჩატარდა. (კიდევ კარგი, მასიური სცენის დროს დეკორაციები მთლად არ გადმოაბრუნეს) საჭიროა მეტი ყურადღებით ეპყრობოდნენ სცენის ხელმძღვანელნი პიესების არჩევას და დადგმას. სამწუხაროა, რომ ვეღარ გავცდით „თამარ-ცბიერს“, „ალუმს“ და სხვებს.

თითქმის წლები გადის, რაც განაწამები ქართული თეატრი საუკეთესო შენობაში არის მოთავსებული და შედარებით უზრუნველყოფილია, მაგრამ შედეგები სამწუხაროდ მეტად მცირეა. აღსანიშნავია ისიც, რომ საუკეთესო ძალებს იშვიათად ვხედავთ სცენაზე.

კლასიკური პიესების დადგმაც გაძვირდა. ჰამლეტი ჩვენ საზოგადოებას ავიწყდება. კარგი იქნებოდა გვენახა ჰამლეტში გ. დავითაშვილი.

ქართულმა თეატრმა წინაპრები მაინც არ უნდა შეარცხვინოს.

Ser.

პარტიაში

ბეჭდვითი საქმის მუშათა კრება.

შაბათს, იანვრის 14-ს, პარტიის ცენტრალურ ბიუროში, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ბეჭდვითი საქმის მუშათა ფრაქციის კრება. ამხანაგებს ევალებათ კრებას უკლებლივ დაესწრნენ და არ დაიგვიანონ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

დაკარგე სამსახურის ნუსხა და გამწვევი სიის № 1783 მოცემული ს. ს. ს. რ. ქუთაისის მაზ. სამხ. კომისრისაგან რასაც ვაცხადებ გაუქმებულად.

ვასილ თ. ლებანიძე.

ქალთა კულტის ნაშთები საქართველოში.

პრ. ჯავახიშვილი ქართველთა წარმართ ბუნების უცვლელობისა და წმ. გიორგის მთავარ ღმერთობის დამამტკიცებელ ფაქტებს მთის ხალხში კრეფს. მაგ. ფშავ-ხევსურეთში და სვანეთში, სადაც ქართული მწიგნობრობა და კულტურა ან სულ ვერ აღწევდა, ან ერთობ ნელი ნაბიჯით შედიოდა. ამავე დროს ავიწყდება, რომ მთა ყოველი ქვეყნისა ბარზე ჩამორჩენილია, სადაც წარმართული ელემენტები ხანგრძლივად თავს იფარავს. ამისათვის გასაკვირი არ არის, თუ ფშავ-ხევსურეთის ხევის ბერი ანუ ლაშქართა თავადი წმ. გიორგის უფრო მოიწონებდა ღვთისშვილზე, რომელზედაც ნათელი წარმოდგენა არა ქონდა. მაგრამ განა ასეთი კუთხური მაგალითებით დამტკიცდება წმ. გიორგი მთავარ ღმერთობა მთელს საქართველოში? ცხადია რომ არა!

საკვირველი სურვილი აქვს პრ. ჯავახიშვილის მთვარის მსახურების საქართველოში აღმოჩენისა. მაგალითად, ფშავ-ხევსურეთში, არსად მთვარის მსახურების ნაშთი არ მოიპოვება, სამაგიეროთ ჩვენი ისტორიკოსი აპირობს მის აღმოჩენას წმ. გიორგის ხატობის მიხედვით. აი მაგალითად რას სწერს იგი: „ხევსურებისა და ფშაველების ხევის ბერი, მეტადრე დეკანოზი [illegible] ხატის სურვილს უცხადებს ხოლმე, მლოცველები სთხოვენ დეკანოზს—გაიგე წმ. გიორგისაგან, რა მოელის ხალხს მომავალ წლის განმავლობაში. ჯერ დეკანოზი ურემზე სდგას ხოლმე, მერე როცა ადარ მოუშვებიან იგი ქადაგად დაეცემა და წინასწარმეტყველებას იწყებდა“. აქედან ჩვენს ისტორიკოსს ის დასკვნა გამოყავს, რომ წინათ, წარმართობის დროს, მთვარის მსახურება სცოდნიათ ფშავ-ხევსურებს. „თვალსაჩინო მსგავსება აქ იმაში ეტყობა, რომ ხატის მსახურნი, მეტადრე დეკანოზი და ხატის მონები ქადაგად დაეცემიან და წინასწარმეტყველობენ ხოლმე. როგორც ვიცით, მთვარის ღვთაების სამღვდელოების მორისაც ხოლ ზოგიერთნი ამასვე ჩადიოდნენ“. მეტანია თათრებმაც იციან ლოცვის დროს და ქართველებმაც, მაგრამ ერთი რომ მაჰმადს მსახურობს, მეორენი ამ ნიშნით ქრისტეს ევედრებიან. განა გარეგნული ფორმის მსგავსებით შესაძლებელია სხვა და სხვა ხალხის ღვთაებათა ერთი და იგივეობის დამტკიცება?!

პრ. ჯავახიშვილი შედარებითი მეთოდით იკვლევს ქართველთა სარწმუნოებას და სამწუხაროთ მას არ ემჩნევა მიუდგომელი დაკითხვა ფაქტებისა, რომელიც მკვლევარს მიიყვანს ინდუქციის გზით უტყუარ სინტეტიურ დასკვნამდე. ჩვენი ისტორიკოსი წინასწარ შემზადებული აზრით აშუქებს წარსულ ცხოვრების სიბნელეს და თავისი დიდი ცოდნით სურს ჭეშმარიტებათ მოგვაჩვენოს აპრიორული იდეია. ასეთი ცოდვა საძრახისად არ მიაჩნიათ თანამედროვე მეცნიერებს, რომელთა წყალობით ქაოსით მოცულია ჩვენი დროის აზროვნება. პრ. ჯავახიშვილის აზრი მთვარისა და წმ. გიორგის მთავარ ღმერთობაზე საქართველოში ყოველ მეცნიერულ დასაბუთებას მოკლებულია და ყოვლად მიუღებელი, თუ რამე ანგარიში გავუწიოთ ხალხის ზნე-ჩვეულებას, ზეპირ სიტყვიერებას და ისტორიულ ნაშთებს ჩვენი ქვეყნისას.

წმ. გიორგი ქართველ ხალხს ქრისტეს მსახურად მიაჩნდა, რომელიც განსაკუთრებით იფარავდა ღვთის მშობლის წილხდომილ ქვეყანას და ეხმარებოდა ხალხს ომში, მკაში, ნადირობაში და სხვა გასაჭირში. ეს რწმენა ქართველ ხალხს მრავალ რიცხოვან მტერთან ბრძოლას აბედვინებდა, საიდანაც ხშირად გამარჯვებულიც გამოდიოდა. არავითარ ზე-ღვთაებრიობას წმ. გიორგში ხალხი არა ხედავდა. ის წარმოდგენილი ჰყავდა მას როგორც გმირი წმინდა კაცი, რომელიც ადამიანს მავნესაგან იფარავდა, შველოდა ნივთიერ ცხოვრების მოწყობაში და იცავდა ადამიანის ინტერესს ღვთის წინაშე.

„წმინდა გიორგის კარზედა
ალვის ხე ამოსულიყო
დამწიფებული ყურძენი
საჭმელად შემოსულიყო“

ამბობს ხალხური ლექსი. ცხადია მთავარ ღმერთად წმ. გიორგი ხალხს არ ეჩვენებოდა. სხვა არა იყოს რა-თვით ქართული სუფრა უნდა მოგონებოდა ჩვენს ისტორიკოსს, როდესაც წმ. გიორგის მთავარ ღმერთობას ამტკიცებდა, სადაც ხალხი წვეულებაში სუფრას ისე არ დასტოვებს, სანამ ტოლუმბაში ყოვლად წმ. ღვთის მშობლის არ გამოიწვევს მასპინძლის ოჯახის შეწევნ დამფარველად. საინტერესოა ვიცოდეთ, რით ავიწყდება ხალხს თავისი მთავარი ღმერთი და რათ აგონდება მას თვით სიმთვრალეშიაც კი ღვთის მშობლის ძლიერება? რა ღირებულობის უნდა იყოს ს. ბარელეთის თქმულება და ისეც დედანთან შეცვლილი, წმ. გიორგის, ელიასა და ქრისტეზე გამოთქმული ამ აშკარა, ყოველ შემთხვევის დროს თვალში საცემ მოვლენასთან.

ს. ბარელეთის თქმულებით, რომელსაც გადმოგვცემს პრ. ჯავახიშვილი, მეცხვარესთან ბატკნის სათხოვრად მისულა ჯერ ელია და მეცხვარემ გაიგო თუ არა, რომ მას ეწვია სეტყვის მომყვანი ელია, განუცხადა: „ჩემი ღმერთისა, რომ არ მეშინოდეს, ამ კომბლით თავს გაგიტეხდით“. მერმეთ მოსულა ქრისტე იმავე ბატკნის სათხოვრად, რომელსაც ასეთივე პასუხი მიუღია. და ბოლოს მიუმართავს მისთვის წმ. გიორგის, რომლის წვევა მეცხვარეს იმ გვარად ესიამოვნებია, რომ, არა თუ ბატკანი, მთელი ფარაც კი შეუთავაზებია მისთვის. ასე რომ ს. ბარელეთის გადმოცემას თუ ვერწმუნებით, გამოდის, როგორც ამას ამტკიცებს ჩვენი ისტორიკოსი, რომ ქართველი ხალხის თვალში არა თუ ელია, თვით ქრისტე ღმერთიც ჯოხით სატყეპი ყოფილა და ერთად ერთი პატივცემული წმ. გიორგი ბრძანებულა. ქართლში კი ეს არაკი შემდეგი შინაარსით გავრცელებულია:

„ერთხელ დაბლა ჩამობრძანდა ქრისტე ღმერთი, ელია და წმ. გიორგი—მავნესაგან მხსნელი ფერი. ფეხით დაიარა უფალმა კაცის პირნახული და დაღალული ხეს ქვეშ დაჯდა. მოშივდა პური და გაგზავნა ელია მეცხვარესთან კრავის გამოსათხოვრად. ელია მივიდა მეცხვარესთან და გააცნო თავის ვინაობა. მეცხვარემ უარი უთხრა: შენ ის არა ხარ, რომ გვიგზავნი სეტყვასო. საბრალო ცხვრებს უმიზეზოთ თავს ატეხ და ალეკ ტყავსო. ელიამ ეს სიტყვები მოახსენა ქრისტე ღმერთს. გაიცინა უფალმა და წმ. გიორგი გაუგზავნა (აქ როგორც ვხედავთ იმდენათ არ დაუმცირებია ხალხის ფანტაზიას ქრისტე ღმერთი, რომ ის მეცხვარესთან ბატკნის სათხოვრად გაეგზავნა.) „წმ. გიორგიმ უთხრა მეცხვარეს თავისი სახელი და მეცხვარეს სიამოვნების ნათელი პირს მოეფინა.—შენ ის ხარ, რომ მავნესაგან მიფარავ; მიირთვი, რამდენიც გნებავსო, გამოურჩია საუკეთესო ბატკანი და სთხოვა: კვლავადაც მობრძანდი, როცა კი დაგჭირდესო. ძღვენი მიართვა წმ. გიორგიმ ქრისტეს. შესწვეს და შეექცნენ. გათავდა სადილი და უფალმა დაიბერტყა კალთა და აკურთხა ადგილი. ვინც დათესს აქ ნაშრომთ ათას წილად მოიმკასო. ბრძანა ეს და ამაღლდა ზეცას და მხლებლებიც თან აიყოლა. მივიდა წმ. გიორგი მეცხვარესთან და უთხრა: შენი სამსახურისათვის მსურს ბედი მოგანიჭო. მხოლოდ ერთხელ დათესე ამ ხრიოკზე პური და უმადური არ დარჩებიო. მეცხვარემ ყანა მაშინვე იყიდა და პური დათესა. გასაკვირველი პური მოვიდა, თვით ელიამ ციდან შენიშნა: რაღა ეს ამისთანა? ან ვისი პურია იქ, სადაც მეუფემ კალთა დაიბერტყაო. წმ. გიორგიმ უთხრა, რომ ის ადგილი მეცხვარემ იყიდაო. „მეცხვარემ? ის ხომ არ არის, მე რომ გამკიცხა ადრეო თავის სიბრიყვისათვის. მე დაუფუჭებ მას თვალსო, ისე დავსეტყვავ ყანას, რომ არ შევარჩენ მარცვალსო. წმ. გიორგი დაეშვა ქვეყნად და ურჩია მეცხვარეს ყანა გაეყიდა“, ამ გვარივე შინაარსისაა ს. ბარელეთის თქმულებაც, მხოლოდ ზემო აღნიშნული ცვლილებით.

კატო მიქელაძე.

(შემდეგი იქნება)

იხ. „ტრიბუნა“ № 120.

[illegible] 1000 [illegible] „[illegible]“ [illegible] 4.